მაჭახელას დაცული ტერიტორიები აჭარის ისტორიაში გამოგზაურებთ. პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების თამარის თაღოვანი ხიდები. აქვე ნახავთ ციხის ნანგრევებს, ქვითკირით ნაშენ ღვინის საწნახელებსა და მარნებს, რომლებიც თავიანთი სიძველით ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან.

ბათუმიდან სულ რაღაც 25 კმ-ში ხელუხლებელი წიფლნარებით და მრავალფეროვანი კოლხური ტყეებით დაფარულ მაჭახელას დაცულ ტერიტორიებზე შეგიძლიათ იმოგზაუროთ. ულამაზესი ჩანჩქერები, საოცარი პანორამული ხედები, მდიდარი ადგილობრივი ტრადიციები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ტროპიკული ტყეებით დაფარული ტერიტორია საინტერესო თავგადასავალს გპირდებათ.

ყოველთვიურად მაჭახელას დაცული ტერიტორიები სათბური გაზების ათასობით ტონას შთანთქავს, რაც კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შერბილებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაჭახელას ხეობის სოფლებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. ის ასევე „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიაა.

მაჭახელას ეროვნული პარკი, 2012 წელს, ხოლო მაჭახელას დაცული ლანდშაფტი, 2023 წელს დაარსდა, ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს საგანძურიცაა. იგი კინტრიშის და მტირალას ეროვნულ პარკებთან და თურქეთის ჯამილის ბიოსფერულ რეზერვატთან ერთად წარმოადგენს კოლხური ტყეების გადასარჩენად შექმნილი დაცული ტერიტორიების ჯაჭვს, რომელიც ემსახურება უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებას.



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. აჭარისაღმართი

+995 544 33 44 33

info@parks.ge

მაჭახელას ეროვნული პარკი/ Machakhela National Park

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge

საქართველოს ეროვნული პარკები

მაჭახელას ეროვნული პარკი



ეკოტურიზმი

მაჭახელას დაცული ტერიტორიები აჭარაში ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ადგილია. აქ თქვენ საშუალება გაქვთ, მოინახულოთ კოლხური ტყეები, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მრავალფეროვანი ზომიერი ტროპიკული ტყე, რომელიც გადაურჩა მრავალ კლიმატურ ცვლილებას, მათ შორის გამყინვარების პერიოდს. დაცული ტერიტორიების მთავარი სიმდიდრე უნიკალური ბუნებაა, რომელსაც ანკარა წყაროების, ტყის დაკლაკნილი ბილიკებისა და საოცარი ხედების ერთობლიობა ქმნის. მიჰყევით ქოქოლეთის, მთავარანგელოზის, დუნგას ჩანჩქერისა და მაჭახელას ღვინის ისტორიის ნავვალევის ბილიკებს, რათა აღმოაჩინოთ დაცული ტერიტორიების ჯადოსნური ბუნება. მოგზაურობა შესაძლებელია როგორც ველოსიპედით ასევე ფეხით. ველურ ბუნებაში პიკნიკის მოყვარულებს აქ თქვენ განსაკუთრებული გარემო დაგხვდებათ. ღამით დასარჩენად კი საკარვე ადგილების გამოყენების საშუალება გექნებათ.

მაჭახელას დაცულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს ოთხი ტურისტული მარშრუტი, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს:

- სალაშქრო ტურებს
- ეკოსაგანმანათლებლო ტურებს
- ფოტო ტურებს
- ისტორიულ-კულტურულ ტურებს

მაჭახელას დაცული ტერიტორიები უნიკალულ ბუნებასთან ერთად გამორჩეულია თავისი ისტორიული წარსულით, ეთნოლოგიური თავისებურებებით და მატერიალური კულტურის მრავალფეროვანი ძეგლებით. აქ თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ:

- მაჭახელას ხეობის ტრადიციულ ადათ-წესებს,
- "მაჭახელას თოფის" შექმნის ტრადიციებს,
- ხალხურ რეწვას - ქსოვა, ქარგვა, გოდრისა და კალათების დაწნა,
- მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებს.

მაჭახელაში მდებარეობს ცნობილი მაჭახელას თოფის ძეგლი, რომელიც ეძღვნება იარაღის დამზადების უნიკალურ ადგილობრივ ტრადიციას. სხვა ღირსშესანიშნაობებს შორისაა სოფელ სკურდიდში მდებარე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი, შუასაუკუნოვანი თაღოვანი ხიდები, უძველესი მარან-საწნახელები, ულამაზესი ჩანჩქერები, ისტორიული გვარას და ჩხუტუნეთის ციხის ნანგრევები და 200 წლის ულამაზეს მეჩეთში განთავსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

გაითვალისწინეთ: მაჭახელას ეროვნული პარკის სასაზღვრო ბილიკებზე მოგზაურობამდე აუცილებელია წინასწარ მიმართოთ მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას საშვის მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.



ბიომრავალფეროვნება

მაჭახელას დაცულ ტერიტორიებზე მდინარე მაჭახელას ხეობაში ფერდობებზე შეფენილ დაბურულ ტყეებში აღმოჩნდებით, სადაც თითქმის მთლიანი ფართობი დაფარულია კოლხური ტიპის ტყით, რომელიც წარმოდგენილია წაბლის, წიფლის, რცხილის და მურყანის ხეებით. აქვე აღმოაჩენთ "წითელი ნუსხის" ისეთ იშვიათ სახეობებს, როგორიცაა კოლხური ბზა, ჩვეულებრივი წაბლი, კოლხური თხილი, უნგერნის შქერი, უთხოვარი, მედვედევის არყი და სხვ.

ტერიტორიას განსაკუთრებულ ორიგინალურობას მარადმწვანე უნგერნის შქერი მატებს, რომელიც მხოლოდ აჭარასა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი.

დაცული ტერიტორიების ცხოველთა სამყარო ტიპურია კავკასიის ტყეებისთვის. სხვა სახეობებთან ერთად აქ ბინადრობს არჩვი, მურა დათვი, ფოცხვერი, კავკასიური ციყვი, კავკასიური სალამანდრა, წავი და სხვა.





მაჭახელას დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული ობიექტები

მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი | განთავსებულია 200 წლის წინ აშენებულ ჯამეში, სოფ. ზედა ჩხუტუნეთში.

თოფი „მაჭახელას" მონუმენტი | მდებარეობს სოფ. სინდიეთში. აჭარაში კაჟ-ჩახმახიან თოფებსა და დამბაჩებს რამდენიმე ადგილას ამზადებდნენ, თუმცა თოფით განთქმული იყო მაჭახელას ხეობა.

შუასაუკუნოვანი თაღოვანი ხიდები (თამარის ხიდები) | ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშები. მდებარეობს შემდეგ სოფლებში: სოფ. ცხემლარა, სოფ. ზედა ჩხუტუნეთი და სოფ. ქვედა ქოქოლეთი.

„გვარას" ციხე (VI-VII სს) | წინაფეოდალური პერიოდის ციხე, რომლის ძირითადი დანიშნულებაც მდ. ჭოროხისა და მაჭახელის წყლის ხეობაზე გამავალი გზების გაკონტროლება იყო, მდებარეობს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან 9 კმ-ში.

„ილიას მარანი" | X-XII საუკუნის პერიოდის ნაგებობა, რომელსაც 2018 წლიდან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მდებარეობს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან 8 კმ-ში, სოფ. ჩიქუნეთში.

ქვემეხი, ე.წ. „ამბრაზურა" | წარმოადგენს II მსოფლიო ომის დროინდელ ქვემეხს, რომლის დანიშნულებაც იყო მაჭახელას ხეობიდან შემოსული მტრისგან თავდაცვა. მდებარეობს სოფ. სკურდიდში.